

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის
სხდომის ოქმი

N7

ქ. თბილისი

11.05.2017წ.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კახაბერ გულუდანი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

| | |
|---------------------|--|
| კახაბერ გულუდანი | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე |
| ნიკოლოზ როსებაშვილი | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი, კომისიის მდივანი |
| გიორგი კაკაურიძე | საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი |
| ბათუ გურჯიძე | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი |
| ნუგზარ ჩიტაია | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის მეცნიერების განვითარების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი |
| ზაურ აბაშვილი | საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი |
| დავით მეტრეველი | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი |
| გიორგი ბაქრაძე | საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი |
| დიმიტრი ქებაძე | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი |
| მაია ბითაძე | საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი |
| შოთა ქათამაძე | საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვანო ხუბუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული |

| | |
|---------------|--|
| | მოწყობის რეფორმის ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი |
| მინდია ლლონტი | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი |
| აკაკი ლოდია | საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის წევრი |

საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის დღის წესრიგი

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-10 მუხლის შესაბამისად ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის, ქ. ოზურგეთისა და ოზურგეთის, ქ. ახალციხისა და ახალციხის, ქ. ამბროლაურისა და ამბროლაურის, ქ. გორისა და გორის, ქ. თელავისა და თელავის, ქ. მცხეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საკითხის განხილვა.

კომისიის სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, კახაბერ გულედანმა და კომისიის წევრებს გააცნო სხდომაზე განსახილველი საკითხი.

საკითხი N1:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-10 მუხლის შესაბამისად ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის, ქ. ოზურგეთისა და ოზურგეთის, ქ. ახალციხისა და ახალციხის, ქ. ამბროლაურისა და ამბროლაურის, ქ. გორისა და გორის, ქ. თელავისა და თელავის მუნიციპალიტეტების გაერთიანების საკითხის განხილვა.

მოისმინეს:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, კომისიის თავმჯდომარემ კახაბერ გულედანმა კომისიის წევრებს წარუდგინა მუნიციპალიტეტების გაერთიანების საჭიროების დასაბუთება და გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტების საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრები.

განიხილეს:

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის წევრების მხრიდან, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

იხელმძღვანელა რა საქართველოს „რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის N297 დადგენილებით და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-12 მუხლით

კომისიამ გადაწყვიტა:

1. ქ. გორის, გორის; ქ. თელავის, თელავის; ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის; ქ. ოზურგეთის, ოზურგეთის; ქ. ახალციხის, ახალციხის; ქ. ამბროლაურის, ამბროლაურის; ქ. მცხეთის და მცხეთის მუნიციპალიტეტების საკრებულოებს კონსულტაციებისთვის გადაეგზავნოს მათი მუნიციპალიტეტების გაერთიანებით შესაქმნელი მუნიციპალიტეტების (გორის, თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ახალციხის, ამბროლაურის და მცხეთის) შესაძლო შექმნის წინადადებები. ასევე საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებულ იქნეს განცხადება ამ ოქმის N1 დანართის შესაბამისად.
2. საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისია გამოთქვამს მზადყოფნას, ადგილობრივი მოსახლეობისგან და არასამთავრობო სექტორისგან მიიღოს და განიხილოს წინადადებები გორის, თელავის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ახალციხის, ამბროლაურის და მცხეთის მუნიციპალიტეტების შექმნის საკითხებზე, ასევე განიხილოს დაინტერესებული პირების წერილობითი მოსაზრებები.

კომისიის თავმჯდომარე

კახაბერ გულედანი



კომისიის მდივანი

ნიკოლოზ როსებაშვილი

